## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილიაგანახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: ნათია გიორგობიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: ია გელენიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: მარიამ მიქაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც შეძლებს მოამზადოს მაღალკვალიფიციური, პრაქტიკაზე ორიენტირებული, ნოვატორული აზროვნების, კრიტიკულ სიტუაციებში პროფესიული პრობლემების სწრაფი იდენტიფიცირებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, მაღალი ლიდერული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების სპეციალისტთა ახალი თაობა.

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:
შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის " მიერ ავტორიზაციისთვის წარმოდგენილია 8 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო და 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დამტკიცებული უფლებამოსილი პირის, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის " დირექტორის მიერ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულების თვითშეფასების კითხვარის თანახმად, წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: ექთნის თანაშემწე (მესამე საფეხური), მასაჟისტი (მესამე საფეხური), ოფისის მენეჯერი(მესამე საფეხური), ინფორმაციული ტექნოლოგი (მესამე საფეხური), პრაქტიკოსი ექთანი (მეხუთე საფეხური), ფარმაცევტის თანაშემწე (მეხუთე საფეხური),მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მეოთხე საფეხური), მცირე ბიზნესის მწარმოებელი (მეხუთე საფეხური).

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზანი, დასაქმების სფერო, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსზე (სია) და ინფორმაცია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსზე. პროგრამას თან ერთვის სასწავლო კურსთა სილაბუსები.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ბანკის მოლარე ოპერატორის (მესამე საფეხური), ფარმაცევტის თანაშემწის (მეოთხე საფეხური), პრაქტიკოსი ექთნის (მეხუთე საფეხური) და ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგის (მეხუთე საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისგან. აღნიშნულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა. ასევე პროგრამაში წარმოდგენილია ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულების ჩამონათვალი. საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს: ინფორმაცია საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების განხორციელების თანმიმდევრობა. სასწავლო გეგმა შედგენილია მოდულების წინაპირობების, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის № 121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის" მუხლი 4[1] „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში", და ასევე შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და მოდულებით.

ექსპერტების მიერ სავალდებულო და არჩევითი მოდულების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოდულები შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015წლის 28 ივლისის N536 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოდიფიკაციის საფუძველზე.

დაწესებულება ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, აპირებს პროგრამების (როგორც საგნობრივი ასევე მოდულური) განხორციელებას როგორც ქალაქ ქუთაისში, ასევე ქალაქ თბილისში, კოლეჯის წარმომადგენლობაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების გადამოწმების შედეგად ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი:

1. <u>საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებში, (ქუთის თანაშემწე, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მცირე ბიზნესის მწარმოებელი მე-4 საფეხური, ოფის-მენეჯერი), წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში დაშვებულია შეცდომები საათების დაჯამებაში. თუმცა შესაბამისი კურსების სილაბუსებში საათობრივი გადანაწილება დაცულია.</u>

დაწესებულებას პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

ქ.ქუთაისში:

1. სამედიცინო კორპორაცია ევექსი. მემორანდუმი №56. 21.03.2017 წელი. ( 3 წლის ვადით)
2. შპს,,საროველი. ხელშეკრულება №66. 15.05.2017 წელი. (7 წლის ვადით)
3. შპს „ათინათი", ხელშეკრულების №53. 01.03.2017 წელი (7 წლის ვადით)
4. შპს „კავკასია-2007" ხელშეკრულების №61. 11.04.2017 წელი (7 წლის ვადით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

5. შპს „ბი ემ სი“ გორგია, ხელშეკრულების №81. 03.07.2017 წელი (3 წლის ვადით)
6. შპს „კომლენდი“, ხელშეკრულების №52. 01.03.2017 წელი (7 წლის ვადით)
7. შპს “ახალი ქსელები“ . ხელშეკრულების №58 . 24.03. 2017 წელი. (7 წლის ვადით)
8. სს ბალნეოსერვისი ხელშეკრულების №64. 08.05.20 17 წელი. (7 წლის ვადით)
9. შპს №4 აფთიაქი, ხელშეკრულების №78. 15.06.2017 წელი. (3 წლის ვადით)
10. აიპ ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი ხელშეკრულების . №75. 15.06.2017 წელი. (3 წლის ვადით)
11. შპს მწვანე აფთიაქი.ხელშეკრულების №76. 15.06.2017 წელი. (3 წლის ვადით)
12. [redacted](აფთიაქი) ხელშეკრულების N77 15.06.2017 წელი. ( ვადა 3 წელი)
13. შპს ემი ხელშეკრულების №60. 03.04.2017 წელი.(7 წლის ვადით)
14. სს „ლიბერთი ბანკი“მემორანდუმი №57. 21.03.2017 წელი. ( 1 წლის ვადით)

ქ. თბილისში:

1. შპს „ბი ემ სი“ გორგია, ხელშეკრულების №81. 03.07.2017 წელი (3 წლის ვადით)
2. შპს თურსა ხელშეკრულების №69. 15.05.2017 წელი (3 წლის ვადით)
3. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ მემორანდუმი №62. 02.05.2017 წელი. (3 წლის ვადით)
4. სამედიცინო კორპორაცია ევექსი. მემორანდუმი №56. 21.03.2017 წელი. ( 3 წლის ვადით)
5. შპს "ახალი ქსელები" . ხელშეკრულება №58 . 24.03. 2017 წელი. ( 7 წლის ვადით)
6. შპს „ივერსი “. ხელშეკრულება №55 . 20.03. 2017 წელი. ( 7 წლის ვადით)
7. შპს “DGT” - ხელშეკრულების №68. 15.05.2017წელი ( 3 წლის ვადით)
8. სს ბიზნესცენტრი მონტაჟსპეცმშენი. ხელშეკრულების №74. 15.06.2016 წელი ( 3 წლის ვადით)
9. შპს ფერადი სახლი - ხელშეკრულების №63. 08.05.2017წელი ( 7 წლის ვადით)
10. შპს მარმალეიდი - ხელშეკრულების №65. 08.05.2017წელი ( 7 წლის ვადით)
11. შპს № 34 აფთიაქი, მისამართი- ხელსკრულების №73. 15.06.2017 წელი. ( 3 წლის ვადით)
12. შპს „იბერია ფარმა+“- ხელსკრულების №72. 15.06.2017 წელი. ( 3 წლის ვადით)
13. შპს „დავათი“ ხელშეკრულების №35. 10.06.2016 წელი (5 წლის ვადით)
14. შპს შენი სახლი ხელშეკრულების №67. 15.05.2017 წელი (3 წლის ვადით)
15. შპს „ჯორჯია ექაუტინგ სერვისი“ ხელშეკრულების №51. 01.03.2017 წელი ( 7 წლის ვადით)
16. სს „ლიბერთი ბანკი“მემორანდუმი №57. 21.03.2017 წელი. ( 1 წლის ვადით)

წარმოდგენილ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში მითითებულია: ა)რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის გავლა იქნება განხორციელებული აღნიშნული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

პრაქტიკის ობიექტზე; ბ) რომელი მოდულების პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება აღნიშნული პრაქტიკის ობიექტზე; გ) რამდენი სტუდენტის მიღება იქნება შესაძლებელი;

ექსპერტების მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტების ადგილზე შესწავლა.

ქუთაისში:

1. შპს „ბი ემ სი" გორგია,
2. სამედიცინო კორპორაცია ევექსი.
3. შპს,,საროველი".
4. შპს „ათინათი",
5. შპს "ახალი ქსელები
6. ი/მ [redacted] აფთიაქი)

თბილისში:

1. სამედიცინო კორპორაცია ევექსი.
2. შპს თურსა
3. შპს ივერსი
4. შპს მარმალეიდი-საბავშვო ბაღი ნევერლენდი
5. შპს „იბერია ფარმა+"

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებს და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებების წარმომადგენლებს. აღნიშნული დაწესებულებების წარმომადგენლებმა დაადასტურეს კოლეჯთან თანამშრომლობა, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების გზები, პრაქტიკაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩამონათვალი:

| N | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა | პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ერთ ცვლაში | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ოფისმენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | III | ოფისმენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 12 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 2. | მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო | IV | მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 14 | ქუთაისი, ოცხელის N2 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროგრამა | | | | | |
| 3. | ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | III | ინფორმაციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 16 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 4. | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | III | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 90 | 9 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 5. | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | III | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 8 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 6 | მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | V | მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 120 | 6 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 7 | პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | V | პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 150 | 16 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 8 | ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | V | ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 120 | 10 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 9 | პრაქტიკოსი ექთანი | V | პრაქტიკოსი ექთანი | 179 | 26 | ქუთაისი, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | | | ოცხელის N2 |
| 10 | ბანკის მოლარე-ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | III | ბანკის მოლარე-ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 99 | 40 | ქუთაისი, ოცხელის N2 |
| 11 | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | IV | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 140 | 14 | ქუთაისი, ოცხელის N2 |

| N | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა | პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა ერთ ცვლაში | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოფისმენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | III | ოფისმენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 15 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 2 | მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | IV | მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 16 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 3 | ინფორმციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული | III | ინფორმციული ტექნოლოგიების მესამე საფეხურის პროფესიული | 60 | 16 | თბილისი, ბაქრაძის N6 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საგანმანათლებლო პროგრამა | | კვალიფიკაცია | | | |
| 4 | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | III | ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 90 | 9 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 5 | პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | V | პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 150 | 7 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 6 | პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | V | პრაქტიკოსი ექთანი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 179 | 23 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 7 | ბანკის მოლარე-ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | III | ბანკის მოლარე-ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული | 99 | 31 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 8 | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | IV | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 140 | 15 | თბილისი, ბაქრაძის N6 |
| 9 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური) | V | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 163 | 16 | თბილისი, ბაქრაძის N6 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის" მიერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების თაობაზე საავტორიზაციო განაცხადის შეტანის შემდეგ, ცვლილება შევიდა ჩარჩო დოკუმენტებში, ამდენად დაწესებულებამ, საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, უნდა დააკორექტიროს კრედიტები ყველა მოდულურ პროგრამაში.
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი" ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ გეგმავს სასწავლო პროცესისის განხორციელებას ორ ცვლაში.

დასტურდება:

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „კავკასიონის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, სილაბუსებით; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 50, 07.07. 2017წ
- სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემით, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 45 15.05. 2017
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით/ხელშკრულებებით;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით და მათ წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით;
- სტუდენტების რაოდენობის დათვლის მექანიზმით-დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N37, 25.03.2017
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხარის თანდართული დოკუმენტაციით;
- მატერიალური რესურსით;

- *1.1 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე www.kavkasioni.edu.ge და არსებობს მატერიალური სახითაც. კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ: დაწესებულების მისია, პროფესიული პროგრამების (მათ შორის მოდულურის), საფეხური, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, ხანგრძლივობა, სწავლების ენა, დაშვების წინაპირობა, სწავლის შედეგები, დასაქმების სფეროები, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასებ, საკონტაქტო ინფორმაცია.

დასტურდება:

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით (მატერიალური სახით);
- ვებ-გვერდით www.kavkasioni.edu.ge

- *1.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ პროგრამების სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში კი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

- წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შედარებით პროფესიულ სტანდარტებთან;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და სილაბუსებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

- *1.3. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომლებიც გაწერილია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში.

განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზეც www.kavkasioni.edu.ge

დასტურდება:

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით. დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" დირექტორის 2017 წლის 25 მარტის №37 ბრძანებით მუხლები :15-23
- ვებგვერდით www.kavkasioni.edu.ge

- *1.4 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

„დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებს საკუთარი სურვილით შეეძლებათ სწავლის გაგრძელება:
ა) ამავე დაწესებულებაში, არსებული (იგულისხმება პროგრამის შეცვლამდე არსებული) საგანმანათლებლო პროგრამებით;
ბ) ამავე დაწესებულებაში, შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამებით;
გ) სხვა ანალოგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის გზით, იმავე ან სხვა ანალოგიური პროგრამებით.
წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ დაუბრუნდება გადახდილი, აუთვისებელი თანხები“

დასტურდება:

- დოკუმენტით–საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. დამტკიცებული დირექტორის 2017 წლის 25 მარტის №37 ბრძანებით (იხ. თვითშეფასების თანდართული დოკუმენტაცია);
- საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან 2013 წელს გაფორმებული უვადო მემორანდუმით. მუხლი 1,5

- *1.5 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პროგრამის განმახორციელებელი პირის საქმიანობის შეფასება შემდეგი ინსტრუმენტებით:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ მეცადინეობებზე, საწარმოო პრაქტიკის და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრება;

პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა შემუშავებული ანკეტის და კითხვარის მეშვეობით, რომელთა ანონიმურობა დაცულია;

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებებით:

- სასწავლო პროცესის შეფასება;
- მოდულის/სასწავლო კურსის შეფასება;
- პროგრამის განმახორციელებელი პირის შეფასება;
- სასწავლო მასალის შეფასება;
- მასწავლებელის გამოკითხვა ხდება შემდეგი მიმართულებით:
- მოდულის/სასწავლო კურსის შეფასება;

კითხვარების და ანკეტების საფუძველზე დგება დასკვნა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.

დასტურდება:

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N37 25.03.2017წ
  - საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით. დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" დირექტორის 2017 წლის 25 მარტის №37 ბრძანებით

მუხლი 5;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კითხვარებით და გამოკითხვის ანონიმური ანკეტებით დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანება N45 15.05 2017წ;

*1.6. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

*1. სტანდარტი არ არის დარღვეული*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

შეფასება:
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "კავკასიონი" საქმიანობის განხორციელებას გეგმავს ორ მისამართზე: ქ.ქუთაისი, ოცხელის ქუჩა N 2. სადაც კოლეჯი იჯარის ხელშეკრულებით, შენობის მეხუთე და მეექვსე სართულზე, ფლობს 1196.28 კვ.მ ფართს. იჯარა გაფორმებულია შპს ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრსა და და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონს" შორის;
ქ.თბილისი, ბაქრაძის ქუჩა N6, კოლეჯს აქვს უძრავი ქონება საკუთრებაში, შენობის მეორე და მესამე სართულზე, 538.55კვ.მ. ფართის სახით.

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1. | ქუთაისი, ოცხელის ქუჩა N2 | 1196.28კვ.მ. (V, VI სართ) |
| 2. | თბილისი, ბაქრაძის ქუჩა N6 | 538.55(მათ შორის II სართულზე -226.9კვ.მ და 117.4 კვ.მ-დან 76.3კვ.მ, IIIსართულზე 169.8კვ.მ და 130კვ.მ-დან 65.55კვ.მ) |

დასტურდება:

- ფართის ფლობის შესახებ საიჯარო ხელშეკრულებით, რომელიც ძალაშია 2031 წლის 1 აგვისტომდე;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი [redacted] მომზადების თარიღი 2017 წლის 17.05.
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან-საკადასტრო კოდი [redacted] მომზადების თარიღი 2017 წლის 02.06.
- ვიზუალური დათვალიერებით;

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:
ქუთაისში, კოლეჯის მეხუთე და მეექვსე სართულებზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები პროგრამების მიხედვით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ: ფარმაცევტის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნის, ბანკის მოლარე-ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განკუთვნილი A,B და C ტიპის გარემო.

- ფარმაცევტის თანაშემწის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

A ტიპის გარემო (აუდიტორია N12) - 29 კვ.მ. აღჭურვილია 14 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემოში არის მასწავლებლის კომპიუტერი,მონიტორი, კომბაინი,დაფა.
C ტიპის გარემო(აუდიტორია N20) - 28კვ.მ აღჭურვილია 14 სტუდენტზე, C გარემოში განთავსებულია ფარმაცევტის თანაშემწის მოდულური პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც შეესაბამება ფარმაცევტის თანაშემწის /09103-3/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოდოკუმენტს. მოწყობილია სველი წერტილი.

- პრაქტიკოსი ექთანი V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

A ტიპის გარემო (აუდიტორია N10) - 28კვ.მ. აღჭურვილია 14 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემოში არის მასწავლებლის კომპიუტერი, მონიტორი, პრინტერი, ფლიპ ჩარტი,დაფა.

C ტიპის გარემო (აუდიტორია N9) -26კვ.მ , აღჭურვილია 13 პროფესიულ სტუდენტზე, C გარემოში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

განთავსებულია პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა,რომელიც შეესაბამება პრაქტიკოსი ექთნის /09101-პ/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოდოკუმენტს.

- ბანკის მოლარე-ოპერატორის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

A ტიპის გარემო (აუდიტორია N5) -80კვ.მ აღჭურვილია 40 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემოში არის მასწავლებლის ლეპტოპი, პროექტორი, კომბაინი, დაფა. სტუდენტებისთვის-კალკულატორი-40 ერთეული, სალარო, ფულის სათვლელი აპარატი, ფულის ამომცნობი აპარატი, შტამპი, ბეჭედი, კუპიურები.

B ტიპის გარემო (აუდიტორია N6) - 32კვ.მ. B გარემოში არის 16 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, ერთი კომპიუტერი მასწავლებლისთვის, პროექტორი, კომბაინი, დაფა. კომპიუტერების მონაცემები/ტექნიკური მახასიათებლები შესაბამისობაშია 3.5 პუნქტში მოცემულ მახასიათებელთან.

საგნობრივი პროგრამებისათვის გამოყოფილია 973.28 კვ.მ, რომელიც აღჭურვილია 174 სტუდენტისთვის ერთ ცვლაში. ასევე მოწყობილია, კომპიუტერული ლაბორატორია (აუდიტორი N7) ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამისთვის და მასაჟის კაბინეტი (აუდიტორია N19), რომელშიც მოთავსებულია სამასაჟე მაგიდები, მასალები მასაჟისთვის, მოწყობილია სველი წერტილი. დაწესებულებაში არსებობს ადმინისტრაციისათვის და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი სათანადოდ არჭურვილი ოთახები. ექსპერტთა მოსაზრებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია ორ ცვლაში.

თბილისში, კოლეჯის მეორე და მესამე სართულებზე განთავსებულია სასწავლო აუდიტორიები პროგრამების მიხედვით. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ: ფარმაცევტის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნის, ბანკის მოლარე-ოპერატორის, ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განკუთვნილი A,B და C ტიპის გარემო.

- ფარმაცევტის თანაშემწის IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

AC ტიპის გარემო (აუდიტორია N13) – 47.6 კვ.მ. აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე, AC გარემოში არის მასწავლებლის კომპიუტერი, მონიტორი, კომბაინი, ფლიპ ჩარტი, დაფა. ასევე ფარმაცევტის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

თანაშემწის მოდულური პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა ,რომელის შეესაბამება ფარმაცევტის თანაშემწის /09103-პ/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოდოკუმენტს.

- პრაქტიკოსი ექთანი V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

AC ტიპის გარემო (აუდიტორია N9) -46კვ.მ. აღჭურვილია 23 პროფესიულ სტუდენტზე, A C გარემოში არის მასწავლებლის კომპიუტერი, მონიტორი, კომბაინი, ფლიპ ჩარტი, დაფა. ასევე განთავსებულია პრაქტიკოსი ექთნის მოდულური პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა ,რომელიც შეესაბამება პრაქტიკოსი ექთნის /09101-პ/ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩოდოკუმენტს.

- ბანკის მოლარე-ოპერატორის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

A ტიპის გარემო (აუდიტორია N1) -62კვ.მ აღჭურვილია 31 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემოში არის მასწავლებლის ლეპტოპი, პროექტორი, კომბაინი, ფლიპ ჩარტი, დაფა. სტუდენტებისთვის- კალკულატორი-40ერთეული, სალარო, ფულის სათვლელი აპარატი, ფულის ამომცნობი აპარატი, შტამპი, ბეჭედი, კუპიურები.

- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

A ტიპის გარემო (აუდიტორია N6)- 32კვ.მ -აღჭურვილია 16 პროფესიულ სტუდენტზე, A გარემოში არის მასწავლებლის კომპიუტერი, მონიტორი, კომბაინი, ფლიპ ჩარტი, დაფა.

B ტიპის გარემო (აუდიტორია N3) – 31.9 კვ.მ. B გარემოში არის 16 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, ერთი კომპიუტერი მასწავლებლისთვის, პროექტორი, კომბაინი,დაფა. კომპიუტერების მონაცემები/ტექნიკური მახასიათებლები შესაბამისობაშია 3.5 პუნქტში მოცემულ მახასიათებელთან.

უნდა აღინიშნოს, რომ რომ კოლეჯის ორივე მისამართზე, B ტიპის გარემო გამოიყენება, როგორც მოდულური, ისე საგნობრივი პროგრამების საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსის სასწავლებლად. B



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

გარემოს დატვირთვა გაწერილია სპეციალური ცხრილით, რომლის მიხედვითაც აუდიტორიის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40სთ. (იხილეთ დანართი-1)

საგნობრივი პროგრამებისათვის გამოყოფილია 319.05კვ.მ და აღჭურვილია 63 სტუდენტისთვის ერთ ცვლაში. ასევე მოწყობილია, კომპიუტერული ლაბორატორია (აუდიტორიაN4) ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული პროგრამისთვის. დაწესებულებაში არსებობს ადმინისტრაციისათვის და სასწავლო პროცესის მართვისათვის განკუთვნილი სათანადოდ არჭურვილი ოთახები. ექსპერტთა მოსაზრებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია ორ ცვლაში.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტებით;
- დანართი 1;

- *2.1 . ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები მოწესრიგებულია და დაცულია სანიტარული ნორმები, ყველა სასწავლო ოთახში არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები(ცენტრალური გათბობა და ელექტრო ღუმელები).

დასტურდება:

- ვიზუალური დათალიერებით;
- კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;

- *2.2 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) ორივე მისამართზე შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამებში სილაბუსებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, ყველა პროგრამიდან შერჩევითად გადამოწმებულ იქნა სილაბუსებში/მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა. შერჩეული სილაბუსებიდან/მოდულებიდან ყველა სასწავლო სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში, სასწავლო სახელმძღვანელოები გატარებულია საინვენტარო წიგნებში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სილაბუსში/მოდულში მითითებული ელექტრონული რესურსი ჩაწერილია კომპაქტ დისკებზე, რეგისტრირებულია.

ბიბლიოთეკებში არსებობს ანბანური და ელექტრონული კატალოგები. წიგნების საძიებო კატალოგი განთავსებულია ვებგვერდზე. კოლეჯის ბიბლიოთეკას ემსახურება, დირექტორის მიერ დანიშნული ბიბლიოთეკის გამგე და ბიბლიოთეკარი ორივე მისამართზე. ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრულია ბიბლიოთეკარის მოვალეობები. ბიბლიოთეკებში არის 4-კომპიუტერი, 2-კომბაინი

დასტურდება:

- სასწავლო კურსების სილაბუსებით/მოდულებით;
- დირექტორის ბრძანებით (N38, 01.04.2017)
- ბიბლიოთეკის დებულებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით, ბიბლიოთეკის შინაგანაწესით (დირექტორის ბრძანება N37 25.03.2017);
- საინვენტარო წიგნებით;
- საბიბლიოთეკო რესურსების ვიზუალური დათვალიერებით;

<u>*2.3. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*</u>



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი" ქუთაისსა და თბილისში აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. კომპიუტერები ასევე გამოყოფილია ადმინისტრაციისათვის.

ქუთაისში-ადმინისტრაციისათვის (3-კომპიუტერი, 2-ლეპტოპი, 1-პრინტერი), სტუდენტებისათვის -(B ტიპის გარემოში-16 კომპიუტერი), ბიბლიოთეკაში 2 კომპიუტერი და 1 კომბაინი, 4 კომპიუტერი მასწავლებლებისთვის. გარდა ამისა, სასწავლო აუდიტორიებში არის 2 პროექტორი, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაცია. შენობაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

თბილისში-ადმინისტრაციისათვის (1 -კომპიუტერი , 3- ლეპტოპი, 1- პრინტერი), სტუდენტებისათვის (B ტიპის გარემოში – 16 კომპიუტერი), ბიბლიოთეკაში 2 კომპიუტერი და 1 კომბაინი, 5 კომპიუტერი მასწავლებლებისთვის. გარდა ამისა, სასწავლო აუდიტორიაში არის 1 პროექტორი, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები და ადმინისტრაცია. შენობაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტებით;
- ხელშეკრულებით „სილქნეტთან"

*2.4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

კოლეჯის ორივე მისამართზე, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა ხორციელდება დანომრილ, ზონარგაყრილ, დალუქულ ჟურნალებში. შიდა სამართლებრივი აქტების გამოცემა, აღრიცხვა წარმოებს კოლეჯის საქმისწარმოების დებულების შესაბამისად და რეგისტრაცია ხდება სპეციალურ დანომრილ და დალუქულ ჟურნალებში.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალებით;
- შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალებით;
- ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის დებულებით

დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძ.N 37 25.03

*2.5. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

ქუთაისში - დაწესებულების შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ასევე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები (4 ერთეული). შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, არის სათადარიგო გასასვლელი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და შესაბამისი ინვენტარით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

დაწესებულებას იცავს უსაფრთხოების თანამშრომელი. შესაბამისად, დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

თბილისში-დაწესებულებაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, ასევე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრები (4 ერთეული). შენობის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, არის სათადარიგო გასასვლელი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას იცავს უსაფრთხოების თანამშრომელი. შესაბამისად, დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

დასტურდება:

- ხანძარსაწინააღმდეგო, სამედიცინო ინვენტარით/აღჭურვილობით;
- საევაკუაციო გეგმით;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულებით (დირექტორის ბრძანება N37 25.03.2017წ);
- სამედიცინო კაბინეტის შექმნის შესახებ ბრძანებით N9 06.08.2017
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ ბრძანებით N41 1.04.2017
- ფინანსური დოკუმენტაციით;

- _2.6 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული_

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

შეფასება:

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ"კავკასიონის" როგორც ქუთაისის ასევე, თბილისის წარმომადგენლობაში, შენობა სრულად არის უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემოთი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ქუთაისში- სსსმ პირთათვის არის პანდუსი პირველიდან მეექვსე სართულის ჩათვლით, აგრეთვე მიმდინარეობს ლიფტის სამონტაჟო სამუშაოები. შენობას მეხუთე სართულზე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

თბილისში -სსსმ პირთათვის არის პანდუსი შენობაში შესასვლელად და ფუნქციონირებს ლიფტი, რომლითაც თავისუფლად შეიძლება გადაადგილება. შენობას მეორე სართულზე აქვს ადაპტირებული სველი წერტილი.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ლიფტის დამონტაჟებისათვის საჭირო საშუალებების შესყიდვის დოკუმენტით;
- ხელშეკრულებით ლიფტის მონტაჟის თაობაზე;

- *2.7 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი: **www.kavkasioni.edu.ge**, რომელიც ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ისტორია, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სასწავლო პროცესის რეგულაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია; ბიბლიოთეკის კატალოგი; საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოგალერეა; ინფორმაცია კოლეჯის პერსონალის შესახებ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

ვებ-გვერდი ორიენტირებულია ფართო მომხმარებელზე, ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

დასტურდება:

- დაწესებულების ვებ-გვერდით www.kavkasioni.edu.ge
- დომენის ხელშეკრულებით კავკაზუს ონლაინთან.

*2.8. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

დაწესებულების მიერ შემუშავებული და დამტკიცებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2017/18 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმის ნაწილია. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მოდულური პროფესიული პროგრამების დამატებას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგს, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ბაზების გაუმჯობესებაზე ზრუნვას, ასევე ინფრასტუქტურის განვითარებას. გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა დაწესებულების მისიასთან შესაბამისობაშია და ორიენტირებულია მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლებაზე და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

დასტურდება:

- განვითარებისგრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 37 25.03 2017
- *2.9. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- *2.სტანდარტი - არ არის დარღვეული*

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციის, დამხმარე პერსონალის დოკუმენტაცია, გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქუთაისსა და თბილისში დაწესებულებას ჰყავს ადმინისტრაციის 16 თანამშრომელი (დირექტორი, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სასწავლო ნაწილის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი, საფინანსო სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ცენტრის ხელმძღვანელი, ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, ექიმი, ბიბლიოთეკის გამგე, ბიბლიოთეკარი და დამლაგებლები).

ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რასაც ადასტურებს მათი პირადი საქმეების გადამოწმება.

კოლეჯში მიმდინარეობს რეესტრის წარმოება (evet.emis.ge), რეესტრში ასახულია ინფორმაციაკოლეჯის, პროგრამების, პერსონალის, პროფესიული მასწავლებლების შესახებ.

დასტურდება:

- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- რეესტრით(evet.emis.ge) ;

- *3.1. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ.ა.

შეფასება:

წარმოდგენილი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული პროგრამების 98 განმახორციელებელი პირი/პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათი პირადი საქმეები. გადამოწმების შედეგად, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

დასტურდება:

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებებით.

- *3.2. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს - 0, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 98-ს.

- *3.3 ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასება:

- პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა/დანიშვნა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა (საქართველოს შრომის კოდექსი) და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, კერძოდ დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით.

პროგრამის განმახორციელებლ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დადებულია შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები. შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება:

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით. ( მუხ.26,27,28,29,30) დამტკიცებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის" დირექტორის 2017 წლის 25 მარტის №37 ბრძანებით;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების/პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან/პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებებით;

- *3.4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული*

*სტანდარტი 3 - არ არის დარღვეული*

IV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1-ორ ფურცლად

ქ. თბილისი 20.09.2017

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ.ა.